




სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი


----- ნოე ქაშიბაძე
28 ოქტომბერი 2014 წელი

სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
"თეთრი ტალღა"

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N16/129
2011წლის 1 იანვარი - 2014 წლის 1 იანვარი

სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი "თეთრი ტალღა"
ფინანსური ანგარიში

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები.....	4
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	6
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.....	8
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	9
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	10
2011 წლის ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	12
2012 წლის ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	29
2013 წლის ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	45

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი "თეთრი ტალღა"-ს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი "თეთრი ტალღა"-ს (შემდგომში „თეატრის“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის, 2012 წლის 31 დეკემბრის და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, ფულადი გრანტების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №6.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

თეატრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც

მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი დეპარტამენტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2011 წლის 31 დეკემბრის, 2012 წლის 31 დეკემბრის და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3, ფორმა N4 და ფორმა N5, კერძოდ:

ცვეთის დარიცხვა

2011 წლის ბოლოს ძირითადი კაპიტალის მოხმარებამ (ცვეთამ) შეადგინა 3 605.00 ლარი, 2012 წლის ბოლოს 8 191.22 ლარი, ხოლო 2013 წლის ბოლოს 6 409.35 ლარი.

ფაქტობრივი მონაცემების შესწავლით და ბუღალტერიიდან მოპოვებული ინფორმაციით, 2011-2013 წლების განმავლობაში ცვეთა შეეხო ისეთ აქტივებს, რომლის ღირებულება არ აღემატებოდა 500 ლარს. კერძოდ, 668 ერთეულ მცირეფასიან გრძელვადიან აქტივს დაერიცხა 2 582.44 ლარი, ასევე 13 ერთეულ ძირითად საშუალებაზე, რომლის საექსპლუატაციო ვადა გასული იყო, დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა - 2 200.09 ლარი;

არაფინანსური აქტივები (ინვენტარიზაცია)

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის 2014 წლის 10 სექტემბრის N 116 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩნდა 9 ერთეული 134.20 ლარის ღირებულების ინვენტარის დანაკლისი, 48 ერთეული 556.67 ლარის ღირებულების და 45 ერთეული დაუდგენელი ღირებულების ინვენტარის ზედმეტობა. ასევე, გამოვლინდა 88 ერთეული 1178.53 ლარის ღირებულების ინვენტარის გაორება.¹ გარდა აღნიშნულისა, ინვენტარიზაციის პროცესში საინვენტარო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით და

¹საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 605 “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” დამტკიცების შესახებ, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი.

ფაქტიური შემოწმებით, აღმოჩნდა რომ საინვენტარო ნომერი არ ჰქონდა მიკრული არცერთ აქტივს.²

აუდიტის პროცესში დადგინდა, რომ თეატრის ტერიტორიაზე განლაგებული იყო სხვადასხვა სახის 24 ერთეული ძირითადი აქტივი, რომლის ღირებულება დაუდგენელია და არ არის ასახული თეატრის ბალანსზე. კერძოდ: საჩუქრად გადმოცემული საწერი მაგიდა - 8 ცალი; კარადა - 1 ცალი; საკუთარი სახსრებით შეძენილი კონდენციონერი - 1 ცალი; მაცივარი - 1 ცალი; ასევე მეიჯარის კუთვნილი კონდენციონერი - 1 ცალი; სკამი - 12 ცალი;

მივლინებები

დოკუმენტბრუნვის შესწავლით და მოწოდებული ინფორმაციით დგინდება რომ 2012 წელს თეატრის მმართველის 12.09.2012 წლის ბრძანებით თეატრის დასი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი 37 ადამიანის შემადგენლობით, 20 სექტემბერს გაემგზავრა მივლინებით აზერბაიჯანში (კახის რაიონში) წარმოდგენის გასამართად. თუმცა სამივლინებო თანხები ანაზღაურებული არაა და არც დავალიანებად ფიქსირდება ფინანსურ ანგარიშგებაში;³

2013 წელს დოკუმენტბრუნვის შესწავლით განხორციელდა 15 მივლინება - 8 რუსთავეში და 7 ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, რომლებიც დაშორებულია ქ. თბილისიდან 30 კმ-ზე მეტი მანძილით. ფაქტობრივად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო სამივლინებო თანხების კრედიტორული დავალიანება 525.00 ლარის ოდენობით, აქედან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თეატრის 24 მომუშავეზე, ქ.რუსთავეში მივლინებასთან დაკავშირებით, მივლინების (6 ბრძანება) თანხა 360.00 ლარი (დღიური 15 ლარის ოდენობით) არასწორად იყო დარიცხული და ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. დანარჩენ 7 შემთხვევაში მივლინება განხორციელდა 178 თეატრის მოსამსახურის მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში თბილისიდან 30კმ-ს მოშორებით. მიუხედავად ამისა, არცერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში არ განხორციელებულა კანონმდებლობის შესაბამისად კუთვნილი მივლინების თანხების დარიცხვა (აღრიცხვა) და ანაზღაურება. მივლინებებთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებებში (გარდა 20.05.2013 წლის N 10 ბრძანებისა) არ ფიქსირდება მივლინების ხანგრძლივობა (დღეების რაოდენობა)⁴.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი;

³ საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის 1 და მე-4 პუნქტები; მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის №231 ბრძანებულების 1-ი, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-14 მუხლები და დანართი №2 - ის მე 4 რიგში აღნიშნული მონაცემები;

⁴ საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის 1 და მე-4 პუნქტები; მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის №231 ბრძანებულების 1-ი, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-14, მე-20 მუხლები;

შემოსავლები

ბანკის და სალაროს ფაქტობრივი მონაცემებსა და ბალანსის დანართი ფორმა N 4 -ის „ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“ მონაცემებს („შემოსავლები საკუთრებიდან“) შორის გამოვლინდა შემდეგი გადახრები: 2011 წელს საბანკო და სალაროს მონაცემებით შემოსულია 9 877.66 ლარი (6 510.00+3 267.66), ხოლო ბალანსში ნაჩვენებია 7 381.00 ლარი, ანუ წლიურ ბალანსში წარმოდგენილი თანხა რეალურთან შედარებით 2 496.66-ით (9 877.66-7 381.00) ნაკლებია. 2012 წელს საბანკო და სალაროს მონაცემებით შემოსულია 19 744.00 (19 123.00+621.00) ლარი, ხოლო ბალანსში ნაჩვენებია 14 038.00 ლარი, ანუ წლიურ ბალანსში წარმოდგენილი თანხა რეალურთან შედარებით 5 706.00-ით (19 744.00-14 038.00) ნაკლებია. 2013 წელს საბანკო და სალაროს მონაცემებით შემოსულია 19 003.60 (15 150.00+3 853.60) ლარი, ხოლო ბალანსში ნაჩვენებია 16 277.00 ლარი, ანუ წლიურ ბალანსში წარმოდგენილი თანხა რეალურთან შედარებით 2 726.60-ით (19 003.60 -16 277.00) ნაკლებია. სულ ჯამში 2011-2013 წლებში ბალანსში ასახული შემოსავლები რეალურთან შედარებით ნაჩვენებია 10 929.26 ლარით ნაკლები ოდენობით. შესაბამისად, ბალანსის დანართი ფორმა N 4-ში „ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“ არასწორადაა წარმოდგენილი ინფორმაცია 2011-2013 წლების ფინანსური შედეგების შესახებ;

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების არსებობისა და ყოვლისმომცველობის გათვალისწინებით, თეატრის 2011-2013 წლების ფინანსური ანგარიშგებები არ შეესაბამება "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების მოთხოვნებს და იგი ვერ ასახავს უტყუარად და სამართლიანად თეატრის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის ფინანსურ შედეგებს.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლებში წარმოდგენილი გარემოებების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

მთავარი წიგნი

მთავარი წიგნის შესწავლით და 2011წლიდან დღემდე მომუშავე მთავარი ბუღალტრების ინფორმაციით აღმოჩნდა, რომ 2011 წლის მთავარი წიგნი არის კვარტალურად დამუშავებული და თვიური მონაცემები არ ფიქსირდება, 2012 წლის მთავარი წიგნიც კვარტალური ჯამებისგან შედგება, მაგრამ არ არის III და IV კვარტლების ჩანაწერები, ასევე 2011 წლის საბოლოო ნაშთები არ ემთხვევა 2012 წლის საწყის ნაშთებს. 2013 წლის მთავარი წიგნში ანგარიშის ნომრებზე არ არის მითითებული დასახელებები და ზოგიერთი ანგარიშის გადახურვაში დაშვებულია შეცდომები. კერძოდ, 1423 ანგარიშის მესამე კვარტლის ნაშთი 228.50 ლარი მეოთხე კვარტალში არის განულებული, ისე რომ მოძრაობა არ ფიქსირდება. (არ არის კრედიტორული ბრუნვა)⁵;

თეატრის ბილეთები

სასაქონლო ზედნადებების და შესყიდვების ხელშეკრულებების შესწავლით დადგინდა, რომ თეატრის მიერ შეძენილი იყო ბილეთები და აბონიმენტები. აღნიშნული დოკუმენტების დამუშავებით და სამხატვრო ხელმძღვანელის ინფორმაციით თეატრის ბილეთებს და აბონიმენტებს ბეჭდავდა გამომცემლობა „დობერა“. დაბეჭდილი ბილეთები და აბონიმენტები ინახებოდა სეიფში სამხატვრო ხელმძღვანელთან. ბილეთებს გააჩნდა სერია, ნომერი ხოლო აბონიმენტებს არა. ბილეთების და აბონიმენტების რიგის, ადგილის, დროის, გრაფა ივსებოდა ხელით. ბილეთები და აბონიმენტები შესაბამისი აღრიცხვითა და ხელმოწერით ნაწილდებოდა უფლებამოსილ პირზე (მთავარი ადმინისტრატორზე / საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსზე), რომელსაც ევალებოდა ბილეთების გავრცელება. თავისუფალ ადგილებზე ბილეთების გავრცელება ხდებოდა წარმოდგენის დღეს სალარო აპარატის მეშვეობით, რომელზეც პასუხისმგებელი იყო თეატრის მთავარი ბუღალტერი, რომელიც შეთავსებით ასრულებდა მოლარის მოვალეობას. ბილეთები რომლების რეალიზაცია ვერ ხერხდებოდა, ექვემდებარებოდა განადგურებას, რაზეც წარმოდგენილია შესაბამისი ბრძანებები და ოქმები. თეატრის ხელმძღვანელობის ინფორმაციით: ბილეთების მინიმალური ფასი იყო 3 ლარი. ბილეთების და აბონიმენტების ღირებულება დგინდებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან სიტყვიერი შეთანხმებით. იყო შემთხვევები როდესაც ბილეთები უსასყიდლოდ გადაეცემოდათ სოციალურად დაუცველ ან დევნილ ბავშვებს.

თუმცა როგორც ფაქტობრივი გარემოებებით გაირკვა (სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის“ სალაროს მონაცემები) იყო შემთხვევები, როდესაც ბილეთები იყიდებოდა 4 ლარად, ხოლო აბონიმენტი 5 ლარად.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-21 პუნქტი;

სამხატვრო ხელმძღვანელის ინფორმაციით, 2011-2012 წლებში არ იწარმოებოდა ბილეთების წიგნაკი, სადაც უნდა დაფიქსირებულიყო მათი რაოდენობა, რეალიზაციაზე პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა და ბრუნვა, რის გამოც ვერ დგინდება ამ პერიოდში რეალიზებული ბილეთების და აბონიმენტების რაოდენობა.

ბილეთები და აბონიმენტები არ აისახებოდა როგორც ფულადი დოკუმენტები თეატრის ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსში).

თეატრის იურისტის ინფორმაციით ბილეთებისა და აბონიმენტების განადგურება ხდებოდა სამხატვრო ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. განადგურებისას დგებოდა შესაბამისი ოქმი. ოქმში მითითებული იყო გასანადგურებელი ბილეთების და აბონიმენტების რაოდენობა, განადგურების ადგილი და თარიღი, კომისიის შემადგენლობა. თუმცა ზემოაღნიშნული ფულადი დოკუმენტების განადგურება არ ხორციელდებოდა მოქმედი წესების სრულად დაცვით (შესაბამისად);⁶

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი "თეთრი ტალღა"-ს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი "თეთრი ტალღა"-ს (შემდეგში „თეატრი“) 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ანგარიშების მომზადებისა და მისი სამართლიანად წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, თეატრის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს თავისი საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თეატრის მიერ 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა თეატრის მიერ 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

⁶ საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე ფინანსთა მინისტრის ბრძანება N449-ის ფორმა N013

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

2011-2013 წლების აუდიტის შედეგად გამოვლინდა გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე:

მოგების დეკლარაცია

საგადასახდო ორგანოში (თბილისის რეგიონული ცენტრი „დიდუბე-ჩუღურეთის“ განყოფილებაში) წარდგენილი მოგების გადასახადის დეკლარაციების შესწავლით (ანალიზით) და თეატრის მთავარი ბუღალტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან გაირკვა, რომ 2011 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია თეატრის მიერ საგადასახდო ორგანოში გადაგზავნილი არ ყოფილა, 2012 წელს კი დაფიქსირდა ზარალი - 7 484.00 ლარი, ხოლო 2013 წელს წარდგენილი იქნა მოგების გადასახადის ნულოვანი დეკლარაცია;⁷

არაფინანსური აქტივები (ინვენტარიზაცია)

კადრების ინსპექტორის ინფორმაციით, დოკუმენტბრუნვის და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით დადგინდა, რომ 2011-2013 წლების განმავლობაში აუდიტორული პროცედურების ხელშეწყობის მიზნით 19.09.2011 წლის N28 და 10.06.2013 წლის N14 ბრძანებების საფუძველზე ჩატარდა თეატრის სალაროს, ძირითადი საშუალებებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, თუმცა 2011 და 2013 წლებში სავალდებულო სახის არც ერთი ტიპის, ხოლო 2012 წელს ინვენტარიზაცია საერთოდ არ ჩატარებულა.⁸

2013 წელს თეატრის ბალანსზე ირიცხებოდა 1117 ერთეული არაფინანსური აქტივი, აქედან საინვენტარო ბარათი გახსნილი იყო მხოლოდ 403 ერთეულზე. აღნიშნული საინვენტარო ბარათებიდანაც არცერთი არ იყო შევსებული სრულყოფილად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. 22 შემთხვევაში მითითებული იყო მხოლოდ აქტივის დასახელება და ნომერი, ხოლო დანარჩენი მონაცემი არ არსებობდა. რიგ შემთხვევაში არ იყო მითითებული ბარათის გახსნის თარიღი, აქტივის მოკლე ინდივიდუალური დახასიათება,

⁷ საქართველოს საგადასახდო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი პუნქტი;

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 605 “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” დამტკიცების შესახებ, მე-3 მუხლის 13.-ის ა) ქვ.პ; მე-4 მუხლის 13.-ის ა),ვ),ი) და კ) ქვ.პ-ები;

შემოსავალში ალების აღნიშვნა (ბუღალტრული ჩანაწერი). არის შემთხვევები სადაც ბარათში აღრიცხულია რამოდენიმე აქტივი ერთად და ბარათზე არ არის ბუღალტრის ხელმოწერა;⁹

გამოცხადების ჟურნალი

თეატრის ხელმძღვანელის 2012 წლის 20 თებერვლის N6 ბრძანების საფუძველზე დასის გამგეს დაევალა გამოცხადების ჟურნალის წარმოება, თუმცა დასის გამგის და კადრების ინსპექტორის ინფორმაციით, აღნიშნული ჟურნალი წარმოდგენილი ვერ იქნა მისი დაკარგვის გამო.

2011-2013 წლებში თეატრში ხელფასების დარიცხვის საფუძველად რიგ შემთხვევაში არ იყო დადგენილი და ნაწარმოები სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება,) შესაბამისად ამ კუთხით არ წარმოებდა სათანადო კონტროლი, რომელიც უნდა განეხორციელებინა იურიდიული, საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველოს პასუხისმგებელ პირებს¹⁰.

დანამატი, ჰონორარი

თეატრის თანამშრომლებზე 2011-2013 წლებში რიგ შემთხვევაში გაიცა პრემიები, დანამატები და ჰონორარები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და კადრების ინსპექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დადგინდა, რომ ორ შემთხვევაში პრემიებთან დაკავშირებით და ერთ შემთხვევაში დანამატებთან დაკავშირებით არსებობდა თანხმობა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოდან (აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროდან). რაც შეეხება სხვა შემთხვევებს - დანამატების, ჰონორარების და ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით რაიმე სახის თანხმობა წარმოდგენილი არ ყოფილა.¹¹ ამასთან, თეატრის ხელმძღვანელობის მიერ გამოცემულ შესაბამის ბრძანებაში არ იყო მითითებული თუ როგორ (რა ოდენობით) უნდა მომხდარიყო ჰონორარის სახით თანხების გაცემა. ჯამში 2012 წელს ჰონორარის სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა - 7 078.40 ლარი.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი;

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-15 პუნქტი;

¹¹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1 პუნქტის „დ“ და „დ“¹ ქვეპუნქტები; სსიპ „სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღის“ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზნაცში აღწერილი საკითხების გარდა, თეატრის მიერ 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობა, ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები:

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში წარმოდგენილი გარემოებების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

საბუღალტრო დოკუმენტაცია

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით და მთავარი ბუღალტრის ინფორმაციით აღმოჩნდა, რომ 2011, 2012 წლის პირველადი დოკუმენტები და სხვა ბუღალტრული დოკუმენტაცია (მემორიალური ორდერები) ინახება ფაილებში, ხოლო 2013 წლის საბუთები აკინძულია, მაგრამ არ არის გადანომრილი მოქმედი წესის შესაბამისად¹².

აუდიტის ჯგუფი:



ბონდო გასვიანი

28 ოქტომბერი 2014 წელი

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა № 1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

სსიპ აფხაზეთის მრეწველ მაშუშეპელთა სახელობის თეატრი „თეატრი ტაფლა“

ჩაბარების ვადა - 20.01.2012წელი

ჩააბარა 05. 01. 2012წელი

რ. ჭიჭიყაძე
(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2011 წლის --12 თვის----- მდგომარეობით

კოდი	აქტივები	აგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოსათვის
		3	4	5.00
2				
I	I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები	1110		
010	ნაღდი ფული საღარიბოში ქრონულ ვალუტაში	1120		
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1211		
030	საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	1212		
040	საგალოვტო ანგარიში ბანკში	1213		
050	დეპოზიტები ბანკში ქრონულ ვალუტაში	1214		
060	დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში	1215		
070	სხვა ანგარიშები ბანკში	1221		
080	ანგარიში ხაზინაში საბუღალტრო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1222	28.13	14.11
090	საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბუღალტრო სახსრებისათვის	1223		
100	დეპოზიტები ხაზინაში ქრონულ ვალუტაში	1224		
110	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1225		
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1300		
130	სხვა ფინანსური აქტივები	1410		
140	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1421		
150	მოთხოვნები მიწოდებით	1422		
160	მოთხოვნები დანაკლისებით	1423		
170	ანგარიშგაღებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	1424		
180	ანგარიშგაღებული პირის მიმართ მოთხოვნა ხაზინიდან გადარიცხული თანხით	1431		
190	გადახდილი დღგ	1432		
200	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1433		
210	სხვა საგადასახადო აქტივები	1441		
220	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	1442		
230	მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	1443		
240	მისაღები პროცენტები	1444		
250	მისაღები დივიდენდები	1445		
260	მისაღები საწევროები და ქრთვრადი შენატანები	1446		
270	სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები			
II	II. არაფინანსური აქტივები	2110		
280	შენიშნა-ნაგებობები	2120		
290	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2130	9089	7881.00
300	სხვა ძირითადი აქტივები	2140	19644.1	19757.60
310	დაუმთავრებელი მშენებლობა	2150		
320	სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	2210		
330	სტრატეგიული მარაგები	2220		
340	სხვა მატერიალური მარაგები	2300		
350	ფასულობები	2400		
360	არაწარმოებული აქტივები		28761.23	27652.71
ბალანსი				

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	რეგარმის ნაშრო	ნაშრო წლის დასაწყისისათვის	ნაშრო წლის (კვარტალის) ბოლოსათვის
1	2	3	4	5.00
I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები				
370	ფინანსური ვალდებულებები	3100		
380	ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	3210		
390	გადასახდელი მოვების გადასახადი	3221		
400	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3222		
410	გადასახდელი დღგ	3223		
420	ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	3224		
430	გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის	3231		
440	გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთათვის	3232		
450	გადასახდელი სტიპენდიები	3233		
460	ვალდებულებები მივლინებით	3234		
470	სოციალური დახმარების ანაზღაურებები	3235		
480	დამპირავების მიერ ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები	3236		
490	სასამართლოს ან/და ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად დაკავებული თანხები ან სხვა დაკავებული თანხები	3237		
500	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3238		
510	წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა	3241		
520	ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით	3242		
530	გადასახდელი პროცენტები	3243		
540	გადასახდელი დივიდენდები	3244		
550	გადასახდელი საწვრთნო და კრთვითი შენატანები	3245		
560	სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები	3246		
570	ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები	3250		
II. კაპიტალი				
580	წმინდა ღირებულება	5100	28733.10	27638.60
590	გაუნაწილებელი მოგება	5220	28.13	14.11
600	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი		28761.23	27652.71
III. საცნობარო მუხლები				
610	საოპერაციო თვალსაზრისით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული	01		
620	პასუხსაგებ შენაშენებელ მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
630	გადახდისუნარიანი დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
640	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04		
650	პირობითი მოთხოვნები	05		
660	პირობითი ვალდებულებები	06		
670	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
680	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08		
690	ვალდებულებები მომსახურების მიმართ	09		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

მთავარი ბუღალტერი

ბ.ა

* აღნიშნული სტრუქტურული მონაცემები აკლდება ბალანსის ვალდებულებისა და კაპიტალის ჯამს

ბალანსის დანართი

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

აქტის დასახელება – სსიპ აფხაზეთის მოზარდ მაწარმებელთა სახელობის თეატრი „თეთრი ტალღა“

ქლიური , კვარტალური (12 თვე)

კოდი _____ 1047

ზომის ერთეული: ლარი

თს 1 იანვრის 2012 წ

ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	პირდაპირი დასაქმებული წლიური გაცემები	სამუშაო პერიოდის დასაქმებული გაცემები	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტობრივი ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
2	3	4	5	6	7	8	9	10
ხარჯები	2	158000	158000	158000	158000	158000	158000	0
1.1 შრომის ანაზღაურება	21	145900	145900	145900	145900	145900	145900	0
1.1.1 ხელფასები	211	145900	145900	145900	145900	145900	145900	0
1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	145900	145900	145900	145900	145900	145900	0
1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	145900	145900	145900	145900	145900	145900	0
1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
1.1.1.1.3 პრემია	21113							
1.1.1.1.4 დანამატი	21114							
1.1.1.1.5 პენსია	21115							
1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
1.1.2 სოციალური შენატანები	212							
1.1.2.1 ფაქტობრივად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							
1.1.2.2 პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							
2 საქონელი და მომსახურება	22	12100	12100	12100	12100	12100	12100	0
2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221							
2.2 მიწის ნაკვეთი	222							
2.3 ოფისის ხარჯები	223							
2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224							
2.5 კვების ხარჯები	225							
2.6 სამედიცინო ხარჯები	226							
2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად პეტიონასთან დაკავშირებული ხარჯები	227							
2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228							
2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტექნიკური-წამლის შეძენის ხარჯები	229							
2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	12100	12100	12100	12100	12100	12100	0

1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23								
1.4 პროცენტი	24								
1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241								
1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411								
1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412								
1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413								
1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414								
1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242								
1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243								
1.5 სუბსიდიები	25								
1.6 გრანტები	26								
1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261								
1.6.1.1 მიმდინარე	2611								
1.6.1.2 კაპიტალური	2612								
1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262								
1.6.2.1 მიმდინარე	2621								
1.6.2.2 კაპიტალური	2622								
1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263								
1.6.3.1 მიმდინარე	2631								
1.6.3.2 კაპიტალური	2632								
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27								
1.7.1 სოციალური დაზღვევა	271								
1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711								
1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712								
1.7.2 სოციალური დახმარება	272								
1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721								
1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722								
1.7.3 დამჭირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273								
1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731								
1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732								

1.8 სხვა ხარჯები	28						
1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281						
1.8.1.1 დივიდენდები	2811						
1.8.1.2 კაზინო-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812						
1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ერცელებოდა	2813						
1.8.1.4 რენტა	2814						
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282						
1.8.2.1 მიმდინარე	2821						
1.8.2.2 კაპიტალური	2822						
1.8.2.2 კაპიტალური		მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომწოდება რიცხოვნობის შესახებ			ბიუჯეტგარეშე		
		ბიუჯეტით			გველით		
		გველით			გველით		
		44			44		
შ ა მ ე დ ე ნ ე ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა							
შ ა მ ე დ ე ნ ე ბ ე ლ თ ა							
შ ა მ ე დ ე ნ ე ბ ე ლ თ ა							

განმარტებულია



ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

კოდი 1047

ორგანიზაციის დასახელება სსიპ აფხაზეთის ჰოზარდ მყურებელთა სახელობის თეატრი „თეოთი ტალღა“

(9 თვის) კვარტალური

2011 წლის 1 ოქტომბრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამატებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
2	3	4	5	6	7	8
1. არაფინანსური აქტივები	31					
1.1 ძირითადი აქტივები	311					
1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111					
1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112					
1.1.1.3 სხვა ნაგებობები	31113					
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112					
1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121					
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122					
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
1.1.3.1 კულტურობითი აქტივები	31131					
1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					

0	1.2 მატერიალური მარაგები	312					
0	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
0	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
00	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
00	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
00	1.2.2.3 შპა პროდუქცია	31223					
00	1.2.2.4 შემდეგში რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი	31224					
00	1.3 ფასეულობები	313					
00	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
00	1.4.1 მიწა	3141					
00	1.4.2 წიაღისეული	3142					
00	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143					
00	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
00	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					
00	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა



ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

კოდი 1047

ორგანიზაციის დასახელება სსიპ აფხაზეთის მოზარდ მაყურებელთა სახელობის თეატრი „თეთრი ტალღა“

2011 წლის 1 ოქტომბრისათვის ზომის ერთეული: ლარი

პერიოდი (9 თვის) კვარტალური

სტრუქტურის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული ბეჭდით	დაზუსტებული მდგომარეობით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივები	32					
020	1.1 საშინაო	321					
030	1.1.1 ვალუტა და დებიზიტები	3212					
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213					
050	1.1.3 სესხები	3214					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
070	1.1.5 საფინანსო ტექნიკური რეზერვები	3216					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
090	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322					
110	1.2.1 ვალუტა და დებიზიტები	3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223					
130	1.2.3 სესხები	3224					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					
150	1.2.5 საფინანსო ტექნიკური რეზერვები	3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227					
170	1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3228					
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					

		33							
		331							
	დეპოზიტები	3312							
	ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313							
		3314							
	რეზერვები და სხვა კაპიტალი (მზ. საზღვარსაღარო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315							
	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316							
160	1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317							
170	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალანებები	3318							
280	2.2 საგარეო	332							
290	2.2.1 გაღებული და დეპოზიტები	3322							
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323							
310	2.2.3 სესხები	3324							
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მზ. საზღვარსაღარო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325							
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3326							
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327							
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავალანებები	3328							

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა



ბალანსის დანართი ფორმა №3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

კოდი 1047

აქციის დასახელება სსიპ აფხაზეთის მოზარდ მკურნალობის სახელობის ოფთხი ტაღდა

ზომის ერთეული: ლარი

ფლობა: წლიური, კვარტალური 2012 წლის 1 იანვრისთვისთვის

აბ №	დებეტი	თანა	ანგარიშის №	კრედიტი	თანა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	28733.1
					158000
00	მომუშავეთა ანაზღაურება	145900	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	
00	საქონელი და მომსახურება	12100	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
00	ძირითადი კაპიტალის მოხმარება		6000	შემოსავლები	
00	მ. შ. ფინანსური ცვეთა	3605	6100	მ. შ. გადასახადები	
00	პროცენტი		6200	სოციალური შენატანები	
00	სუბსიდიები		6300	გრანტები	
00	გრანტები		6400	სხვა შემოსავლები	
00	სოციალური უზრუნველყოფა				
00	სხვა ხარჯები				
2000	აქტივების უსასყიდლოდ გაცემა		1300 2000	აქტივების უსასყიდლოდ მიღება	2510
00	მ. შ. ძირითადი აქტივების		2100	მ. შ. ძირითადი აქტივების	2510
00	მატერიალური მარაგების		2200	მატერიალური მარაგების	
00	ფასკელობების		2300	ფასკელობების	
300	არაწარმოებული აქტივების		2400	არაწარმოებული აქტივების	
400	სხვა ფინანსური აქტივების		1300	სხვა ფინანსური აქტივების	
300	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
00	მ. შ. ზარალი ფლობიდან		8100	მ. შ. მოგება ფლობიდან	
100	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები		8200	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
200	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები				
224	ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები*				
	საღებამო ბრანვა	161605		საქრდამო ბრანვა	160510
	სულ ჯამი**	161605		სულ ჯამი***	189243.1

იმწელ სტრუქტურულ აღრიცხვა სახელმწიფო საბუღალტრო განყოფილება მომსახურებებით მიღებული შემოსავლებიდან და სხვა ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

დებეტი ნაშთის წლის დასაწყისისათვის გზავნის საბუღალტრო ბრუნვა

კრედიტი ნაშთის წლის დასაწყისისათვის გზავნის საბუღალტრო ბრუნვა

ანონსირის ხელმძღვანელი

პარი გულაღბარი:



ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება სსიპ აფხაზეთის მოზარდ მაცურებელთა სახელობის თეატრი „თეთრი ტალღა“

1047

ზომის ერთეული: ლარი

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

სტრუქტურის კოდი	შემოსავლები	სულ		
		გვერდითი	საკასო	ფაქტური
1	2	3	4	5
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	28,13	28,13	28,13
020	საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლები	7400	15981	15981
030	მათ შორის სახეების მიხედვით	7400	7381	7381
040	ა) შემოსავლები საკუთრებიდან			
050	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			
060	გ) სანქციები, ჯარიმები, საურაგები		8600	8600
070	დ) ნებაყოფილებითი ტრანსფერები, გრანტების გარდა			
080	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			
	მათ შორის:			
090	კერძოაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	7428,13	15995	15995
100	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი		
110	1.1. შრომის ანაზღაურება	21		
120	1.2. საქონელი და მომსახურება	22	3821,13	10283,2
130	1.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23		
140	1.4. პროცენტი	24		
150	1.5. სუბსიდიები	25		
160	1.6. გრანტები	26		
170	1.7. სოციალური უზრუნველყოფა	27		
180	1.8. სხვა ხარჯები	28	3600	5711,86
190	2. არაფინანსური აქტივები	31		
200	2.1 ძირითადი აქტივები	311		
210	2.2 მატერიალური მარაგები	312		
220	2.3 ფასეულობები	313		
230	2.4 არაწარმოებული აქტივები	314		
240	3. ფინანსური აქტივები	32		
250	3.1 ხაზინა	321		
260	3.2 საგარეო	322		
270	3.3 მონეტარული ოქრო და ნახევსხობის სპეციალური უფლება	323		
280	4. ვალდებულებები	33		
290	4.1 ხაზინა	331		
300	4.2 საგარეო	332		
310	ბიუჯეტში გადახდილი თანხები			
320	კერძოაშორის სხვაობით მიღებული ზარალი		14,11	14,11
330	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს			

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბალანსის დანართი ფორმა № 4-1

ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

200 — წლის — თვის

ორგანიზაციის დასახელება: „საქართველოს მხარე“ შპს-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს მხარე“ კოდი

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური

ზომის ერთეული: ლარი

	უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
			გეგმიური	საკასო	ფაქტური
1 გრანტის მთლიანი მოცულობა					
2 მ.შ მიღებული თანხა					
3 მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა					
4 მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა					
1 ნაშთი პერიოდის დასაწყისში					
2 მიმდინარე წლის მოცულობა					
3 სულ (1+2)					
4 ხარჯები					
5 შრომის ანაზღაურება					
6 საქონელი და მომსახურება					
7 პროცენტი					
8 სუბსიდიები					
9 გრანტები					
10 სოციალური უზრუნველყოფა					
11 სხვა ხარჯები					
12 არაფინანსური აქტივების ზრდა					
13 ფინანსური აქტივების ზრდა					
14 ვალდებულებების კლება					
15 სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

გ.ა



ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ
განიზაციის დასახელება სსიპ აფხაზეთის მოზარდ მკურნალებსა სახელობის თეატრი „თეთრი
ტალღა“

კოდი -----1047-----

იძიებულობა: წლიური, კვარტალური -----12 თვის

2012 წლის 1 იანვრის

ზომის ერთეული: ლარი

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მ ი ლ ე ბ ა						გ ა ს ვ ლ ა														
		შესყიდვით	მხვედრის სახელმწიფო ეროვნული ესპანდირდ	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა გერონდირი ნაკლებით	საკუთარი სისრებით	დანაგლისის ადღენით	გაყიდვით	მხვედრის სახელმწიფო ეროვნული ესპანდირდ	ხელფასები სასაქონლო ფორმით	სუბსიდებით	გრანტებით	სოციალური დახმარებით	დანაგლისით	სხვა ხარჯებით	სხვა გერონდირი ნაკლებით	საკუთარი სისრებით	გაბიჯების შექმნა	მართალი კაპიტალის მოხმარებაცეცხვა	საქონლი და მომსახურებით	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
ძირითადი აქტივები	28733.10				2510														3605			27638,6
შენიშვნა-ნაგებობები																						
1.1.1 საცხოვრებელი შენობები																						
1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები																						
1.1.3 სხვა ნაგებობები																						
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	9089																		1208			7881
1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები																						
1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი																						
5 სხვა ძირითადი აქტივები	19644.10				2510														2397			19757,6
1.3.1 კულტიურული აქტივები																						
1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები																						
1.3.2.1 ლიცენზიები																						
1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები																						
4 დაუმთავრებელი მშენებლობა																						
5 სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები																						

ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

ხელდება სსიპ აფხაზეთის მოზარდ მაყურებელთა სახელობის თეატრი „თეთრი ტალღა“

კოდი ---1047-----

კრიოფიქსაცია: წლიური, კვარტალური -----

200 წლის ----- თვის ზომის ერთეული: ლარი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოცუბა ფლობიდან	ზარალი ფლობიდან	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება
ფინანსური აქტივები				
ვალუტა და დეპოზიტები				
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
სესხები				
აქციები და სხვა კაპიტალი				
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
სხვა დებიტორული დავალიანებები				
მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება				
ფინანსური ვალდებულებები				
ვალუტა და დეპოზიტები				
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
სესხები				
აქციები და სხვა კაპიტალი				
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
სხვა კრედიტორული დავალიანებები				

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:



ა ნ ბ ა რ ი შ ი

ავტორიზაციის მქონე პირის მიერ გაწეული ხარჯების შესახებ

კოდი 1047

ინვანტარის დასახელება

დღეისა: წელიწადი

2011 წლის 1 ივლისისათვის

სომხის მფლობელი: ლარი

გადასახდელის დასახელება	გადასახდელის		გადასახდელის სახეობები		სულ	
	საპასო ხარჯები	ფაქტობრივი ხარჯები	საპასო ხარჯები	ფაქტობრივი ხარჯები	საპასო ხარჯები	ფაქტობრივი ხარჯები
1	2	3	4	5	6	7
ანსპორტის მფლობელის სახელად წელიწადი რაოდენობა						
სადაც განთავსებული სულ						
ა) პერსონალური ხარჯებების						
ბ) სამსახურებრივი მიზნების						
გ) ოპერატიული და სხვაგვარი ხარჯების						

ინვანტარის ხელმძღვანელი:

მისი ბუღალტერი:



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

სსიპ აფხაზეთის მოზარდ მაყურებელთა სახელობის თეატრი "თეთრი ტალღა"

ჩაბარების ვადა 20.01.2013

ჩაბარა

18.01.2013

სეჩხელი

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: _____ ლარი

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) მოთხოვნა
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		241
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240	14,11	479,86
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
390	შენობა-ნაგებობები	2110		
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	7881,00	6181,11
410	სხვა მირითადი აქტივები	2130	19757,6	13812,27
420	დაუმთავრებელი მირითადი აქტივი	2140		
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
440	ფასეულობები	2300		
450	არაწარმოებული აქტივები	2400		
	ბალანსი		27652,71	20714,24

პი	ვალდებულებები და კაპიტალი	პროგრამის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათ ვის	ნაშთი წლის (ცარტლის) ბოლოს
		3	4	5
1	2			
I.	ვალდებულებები	3100		
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3210		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3230		
490	ვალდებულებები ბარტერიით	3241		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3242		
510	გადასახდელი დღგ	3243		
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3244		
530	სხვა გადასახდელები	3245		
540	ზიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3246		
550	ზიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3251		
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
570	შტატარზე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3253		
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3254		
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3255		
600	დამჭირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
610	დამჭირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3257		
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3258		
630	გადასახდელი სტაჰენდიები	3259		
640	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3260		
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3270		
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3280		
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3300		
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	5100	27638,60	19993,38
II.	კაპიტალი			
690	წმინდა ღირებულება	5210		
700	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5220	14,11	720,86
710	გაუნაწილებელი მოგება	5230		
720	დაუფარავი ზარალი		27652,71	20714,24
	ბალანსი			
